




ბრძოლის გზა

სოცველთშვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე.

Directeur C. Gvardjaladzé.



არსაშან ემუხვარი

(1880—1939)



ა რ ზ ა ქ ა ნ ე მ უ ხ ვ ა რ ი ს

პარიზის კლ. ბერნარის საავტომყოფოში 24 მარტს დილით გადაიკვალა ხანმოკლე ავტომყოფობის შემდეგ აფხაზეთის ავტონომიურ ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრი არზაყანი ემუხვარი.

არზაყანი დაიბადა 1880 წელს სამურზაყანოს პატარა სოფელში—ჩხორთოლში. მან ჯერ კიდევ ბავშვობისას დაკარგა მშობლები, რის შემდეგ იზრდებოდა ძიძის ოჯახში.

არზაყანი სწავლობდა ჯერ სოფლის სკოლაში და შემდეგ სენაკის სასულიერო სასწავლებელში და ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ქუთაისში იგი დაუახლოვდა არა მარტო ქართულ საზოგადოებას, არამედ აგრეთვე ქართულ კულტურასაც და სულიერად შეეწარმა მას; მასში ერთი მეორეს შეადლდა აფხაზი და ქართველი, აფხაზეთის ღირსეული მამულიწვილობა და საქართველოს უანგარო პატრიოტობა.

სემინარიაში ყოფნის დროს არზაყანი დაუახლოვდა განმანათვისებელ მოძრაობასაც და მიემხრო მესამე დასელებს. ეს უთუოდ დიდი გაბედულობა იყო იმ აფხაზისათვის, რომელიც ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების სტიპენდიანტი იყო. აღნიშნულ საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ მისი სტიპენდიანტი მღვდლად ეკურთხებოდა და წარჩინებულ მისიონერად მოველინებოდა აფხაზეთს. მაგრამ იგი იმედგაცრუებული დარჩა: არზაყანმა არჩია საზოგადო მოღვაწისა და რევოლიუციონერის ეკლიანი გზა. სემინარიაში კურსის დათავების შემდეგ იგი თავის საყვარელ აფხაზეთს დაუბრუნდა და დაიწყო ხალხში რევოლიუციონერი მუშაობა. ათას ცხრაას ხელწელში იგი უკვე ცნობილი იყო ხალხის თავდადებულ მოამაგეთა და «სოხუმის რესპუბლიკის» მეთაურობაც მას ხვდა. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ იგი პასუხისგებაში იქმნა მიცემული და ხანგრძლივ ციხის შემდეგ, 1908 წელში, თბილისის საზოგადოებრილო პალატამ მას მიუსაჯა ციხეში კიდევ ერთი წლით ჯდობა. იმ დროისათვის ასე იოლი სასჯელი აიხსნება მის გავლენიან მგობარ და ნათესაეების დახმარებით. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა რევოლიუციონერ მუშაობას და ისტატური სიფრთხილით ამზადებდა აფხაზობას მოსალოდნელ დიდ ამბები-სათვის. უბრალო ხალხი, აფხაზეთის გლეხობა, თავად არზაყანში ხედავდა—და სრულიად სამართლიანადაც—თავის უანგარო მოამაგეს, უირისა და ლხი-

ნის მოზიარეს, რჩევისა და დახმარების მიმცემს. ხალხს უყვარდა არზაყანი მიტომ, რომ მას უყვარდა ხალხი.

ვეროპის დიდმა ომმა ააფორიაქა რუსეთი; ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილმა ქვეყანამ ვერ გაუძლო ომის სიმძიმეს და დაიმსხვრა მისი დროშისგან რევოიმი. რუსეთის ციხეში გამოწყვედულმა ერებმა მოხერხებული დრო იშველეს და თავი დააღწიეს ეროვნულ ჩავგრასა და მონობას. აღსდგა დიდი ისტორიული წარსულისა და სახელმწიფოებრივ ტრადიციების მქონე საქართველოც. დადგა ისეთი დრო და პირობები, როდესაც არზაყანს საშვალეება მიეცა ფრთები გაეშალა და მთელი თავისი ნიჭი, ენერჯია და უნარი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში დაეყენებია. აფხაზეთმა ის ღირსეულად დააფხა და აირჩია ჯერ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ ავტონომიურ მთავრობის თავმჯდომარედ; იმავე დროს ქართველმა ერმა აფხაზობასთან ერთად ის წარუბავნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს—დამფუძნებელ კრების—წევრად. დიდი ტაქტისა და სახელმწიფოებრივი უნარის მქონე არზაყანი ყველა პოსტზე თავის ადგილას იყო. მეტად ჩუმი და მორცხვი ბუნების მოღვაწე განსაკვიფრებულ სიმტკიცეს და ნებისყოფას იჩენდა სადაც იქ ეს საქორი იყო და ხელისუფლების სწორად გაკვებულ პრესტიჟი მოითხოვდა; მისი გზის და საქმიანობის მანათებელი ლამპარი იყო სამართლიანობა, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა და ამ მთავარ და უპირველეს მნიშვნელობის პრინციპისთვის მას არასოდეს უღალატა. იგი ერთნაირის ერთგულებით ემსახურებოდა საერთოდ საქართველოს და კერძოდ აფხაზეთს, რომელთან ინტერესები და კეთილდღეობა მის შეგნებაში იყვენ ერთმანეთისაგან განუყოფელი და განუთვისებელი.

ჩრდილოეთიდან ხელახლავ მოდინებულმა ბარბაროსულ ურდოების ტალღამ ერთხელ კიდევ მოაჯირგალა ბედკრული საქართველო და აართვა მას დროებით სუვერენობა. ამ უბედურების მიზეზით არზაყანი საქართველოს მთავრობასთან ერთად გადმოიხვეწა უცხოეთში. იგი ჯერ სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ პრაღაში გადმოსახლდა და იქ დაბინავდა. აქ ის მრავალ წლების განმავლობაში მეთაურობდა მცირერიცხოვან ქართულ კოლონიას, როგორც მისი ღირსეული თავმჯდომარე. ამავე დროს მთელი თავისი არსებით, სულითა და გულით ჩვენი



ქვეყნის განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან იყო და მას ხელს უწყობდა რითაც შეეძლო. ამ უკანასკნელად ის იქმნა გამოწვეული პარტიზონი, რომ უფრო ახლო გაცნობდა განმთავისუფლებელ მოძრაობის მიმდინარეობას და უშუალო მონაწილეობა მიეღო მასში იქ და მაშინ, სად და როდესაც საჭირო იქნებოდა ეს. არზაყანი სიამოვნებით გამოეხმაურა ამ მოწვევას და პირველ შემთხვევისთანვე გვეწვია პარტიზონი. მაგრამ ბედმა უმეუბთლა და არ დააცალა საყვარელ სამშობლოს სამსახურში ებოვა ლხენა და სიხარული; ჩამოსვლის მეორე კვირაშივე გახდა ავად და მიუხედავად მიღებულ ზომებისა, სამუდამოდ გამოგვეთხოვა 5-6 დღის ავადმყოფობის შემდეგ.

არზაყანი იშვიათი პიროვნება იყო აგრეთვე კერძო ცხოვრებაში: მორიდებული და თავაზიანი, აზხა-

ნაგობაში შეუდარებელი, ყველასადმი სინაზითა და სიყვარულით აღსავსე.

განსვენებულს დარჩა ცოლი და ორი ვაჟი, რომელნიც საქართველოში ჩაჩნენ.

არზაყანი დავასფლავეთ სოფელ ლევილში, სადაც განისვენებენ სხვა თავდადებულნი მებრძოლნიც. დასაფლავებას დაესწრენ ეროვნული მთავრობანი. ყოროანიას მეთაურობით, ქართული კოლონია და ჩვენი კავკასიელ მებრძოლების წარმომადგენლები. კუბო მორთული იყო ცოცხალი ყვავილებისგან შეკრულ გვირგვინებით, რომელთა შორის ყურადღებას იქცევდა ეროვნულ მთავრობის, პარტიის სოც. დემ. ორგანიზაციის, «სოციალისტური აზრი»ს, აქ. ჩხენკელის და კ. კანდელაკის და სხ. კუბოს წინ მგრძნობიარე სიტყვებით წარმოსთქვენს კ. კანდელაკმა: ა. ჩხენკელმა და სხ.

ბ. არიძე.

ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს უ რ ი ლ ო ბ ა

ეს ხუთი უკანასკნელი წელია ბოლშევიკურ პარტიას თავისი ჩვეულებრივი ყრილობა არ ჰქონია. ამ წინს განმავლობაში თითქმის სავსებით განადგურებულ იქნა, როგორც ძველი შემადგენლობის კომუნისტური პარტია, ისე მთელი საბჭოთა აპარატი. ლენინის ძველი პარტია მკვდარია, მის ადგილას შექმნილია ახალი ორგანიზაციები და ამათი ყრილობა იქნა მოწვეული ვასულ მარტის შუა რიცხვებში.

ამ ყრილობაზე არა სჩანდნენ არა თუ ლენინის ყოფილი თანამებრძოლნი და ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელნი. არამედ აქ იშვიათად ნახავდით იმ ხალხს, რომელსაც მონაწილეობა მიუღია და რითიმე თავი გამოუჩენია 1917 წლის რევოლუციოში. დიდი უმრავლესობა კრებისა შესდგებოდა იმ წევრებიდან, რომელნიც პარტიაში შესულან ამ 10 უკანასკნელი წლის განმავლობაში. თითო სტალინის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დახვრეტების, თუ გარიცხვების გამო, 1934 წლიდან დაწყებული, ბოლშევიკურ პარტიას მოკლებია 270 ათასი წევრი. მაგრამ კომუნისტები თავს ინუგეშებენ მით, რომ, ვითომც, პარტია არის მონოლიტური, მთლიანი და სტალინის ერთგული.

სტალინმა მისი მოწინააღმდეგენი, სხვანაირად მოაზრენი, მისი არაერთგულნი ტლანქი ძალით თავიდან მოიშორა. ძველი თაობის ხალხს მან დაუპირდაპირა ახალგაზდობა, რომელსაც შეუქმნა ყოველივე მხრივ პრივილეგიური მდგომარეობა. ძველებს და ახლებს შორის მან სისხლი დაღვარა, ორმოცამო-

თხარა; ისინი ერთმანეთს წაჰკიდა და შეაძულა; ძმა ძმის, შვილი მამის მტრად და გაჰყიდეფლად აქცია; ყოველგან ამოარაღობა. დაბეზლება და მლიქვნელობა გააბატონა

სტალინმა ორგანიზაციულად დაიქვემდებარა და დაიმორჩილა პარტიის უმადლესი ინსტაციები. მაგრამ დიდხანს დარჩება ეს ბიუროკრატიული აპარატი მისი ყურმოსპირი მონა?

ყოველივე გაზრწნილ რეჟიმს უთუოდ მისი აპარატის გაზრწნა მოყვება. ბოლშევიკური რეჟიმი კი სავსეა წინააღმდეგობით და უკუღმართობით. კომუნისტური პარტიის მონოლიტობა და მისი კრემლის მესვეურებისადმი ერთგულება იმდენად საეჭვოა, რამდენადაც მეტია სტალინისადმი მლიქვნელობა, შიში და მის მიერ გამეფებული ტერორი.

ყრილობაზე მთავარი მომხსენებლები—სტალინი და მოლოტოვი ბევრს ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობაზე მიუხედავად ამ მდგომარეობის მათ მიერ ოპტიმისტურად და ტენდენციურად დახატვისა, მათივე ცნობები ნათლად მოწმობენ, რომ ბოლშევიკებს დღეს სასიხარულოა და დიდად სიძიმლო ბევრი არაფერი აქვთ.

თუ წინეთ ისინი ძალზე ბაქიობდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოება, ვითომც, არა თუ დაეწია ევროპისას და ამერიკისას, არამედ მას კიდეცა წინ წაასწრო, ესლაკი ამის მტკიცებას ვეღარ ბედავენ და სრულიად წინააღმდეგს ამბობენ. სტალინი თან უმატებდა,

რომ დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიურად გათანაბრება და მით უმეტეს მათი წინ წასწრება ადვილი საქმე არ არის და ეს დიდ დროს მოითხოვსო.

მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ სასოფლო მეურნეობაში ახლად შემოღებული მანქანების ხმარების და გამოყენების საქმეს მეტად ცუდი პირი უჩანს; რომ შეჯიბრებებში კოლხობურ წარმოებას კერძო და ერთპიროვნული მეურნეობა სჯობის; რომ რუსეთში მომხმარებელის მოთხოვნილება და მყიდველობითი შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია. ვიდრე ევროპის ქვეყნებში. მაგრამ მიუხედავად ყველაფერ ამისა, სტალინი და ყველა მის შემდეგ მოლაპარაკე ორატორები ყრილობაზე დიდი ზეიმით აცხადებდნენ, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმა საესებით გაიმარჯვა და აწი თანდათანობით შეგდევართ კომუნისმის ხანაშიო. აბა, ვინ გაბედავდა და არ გაიზარებდა სტალინის თეორიის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების შესახებ!

სტალინმა თავის მოხსენებაში ეხლა წამოაყენა ახალი თეორია, რომელიც, როგორც ყრილობაზე, ისე მთელ კომუნისტურ პრესაში, დიქტატორის «გენიალურ» აღმოჩენად არის აღიარებული.

ეს ახირებული თეორია იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმს თურმე რუსეთში გაუბრჯენია და ბოლშევიკები კომუნისმის ხანაში გადადიან, სახელმწიფოს პოლიციური და ძალდატანებითი აპარატი არა თუ არ ისპობა, არამედ ის კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და გამაგრდეს.

დღემდე ჩვენ ვფიქრობდით, სოციალიზმის მამამთავარნიც ამას გვასწავლიდნენ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანი კმაყოფილი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა თუ მატერიალურად, არამედ ის აგრეთვე თავისუფალი იქნება ყოველგვარ პოლიციურ ზომების და ძალდატანებისაგან; ის იქ გახდება თავისთვის სრული ბატონი და პატრონი. თუ დღეს სახელმწიფო არის პიროვნებათა მართველი და გამძვ. მომავალ წყობილებაში «პიროვნებათა მართვის ადგილს დაიჭერს საგნების მართვა და საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობა».

ეხლა კი «ახალთა მამა» გვაუწყებს, რომ სოციალისტურ წყობილებაშიდაც აუცილებლად დარჩება დღევანდელი ჩეკა, დამსჯელი რაზმები და მთელი პოლიცია ყველა მისი ფუნქციებით. ჩეკისტები ბერიატოვის საშხაუს არ გვაკლებს და გვიჩრდებდა, ალბათ ეყოვის გასაწილებლად და საჯობნელად, რომ მისი ამქართა დახმარებით ყოველნაირ ზომებს მიმართავს, რათა აღმოფხრას და გაანადგუროს ყველა

მტრულად განწყობილი ელემენტები. როგორცაა მათი სოციალიზმი და კომუნისმი, ისეთია პიროვნებათა მათ მიერ მართვა და გამგებობა.

ყრილობაზე დიდი დრო მოანდომეს აგრეთვე საგარეო საქმეებზე მასლაათს.

წინთ ბოლშევიკები სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში მეტად აგვრისული იყვნენ ყველას რუსეთის საქმეებში ინტერვენციის მოწყობას აბრალდებდნენ. ფაისიტურ ქვეყნების გარდა, განსაკუთრებით, თავს ესხმოდნენ ინგლისს და საფრანგეთს და მათ წინააღმდეგ მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მანიფესტაციებს და დემონსტრაციებს ახდენდნენ. ამავე დროს ევროპის პროლეტარიატს მოუწოდებდნენ აქტიურად გამოსულიყვნენ მათი მთავრობებთან საბრძოლველად და საბჭოთა რეჟიმის დასაცავად. ეხლა კი ტონი იცვალს და სხვებზე თავდასხმებს, ვისიმე ამოჩემას და მის წინააღმდეგ ბრალდებების წამოყენებას თავი გაანებებს; ევროპის მუშეთა კლასი ეხლა კვასი გასაჭირის დროს მორალურად თუ კი დაუჭერს მხარს. ბოლშევიკები ეხლა ამითაც კმაყოფილი იქნებიან და ამაზე მეტს მისგან აღარაფერს მოელოან.

კომუნისტები დარწმუნებული არიან, რომ საერთაშორისო კონფლიქტი აუცილებელია. სტალინი ყრილობაზე ამბობდა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირის მიმართ ჩუმი ზრახვები აქვთ: მათი სურვილია რუსეთს მოუხდეს კონფლიქტი აგრესორებთან, ისინი ერთმანეთთან ჰიდლიში ერთად დასუსტდენ და დაუღლურდენ, რათა შემდეგ ამ დასუსტებულებთან ყოველივე ანგარიშის გასწორება და მათი ცალკავე დამორჩილება უფრო ადვილი საქმე შეიქნასო. მაგრამ დიქტატორი სხვების მიმართ სწორად რომ ასეთივე ტაქტიკას აწარმოებს; ის დიდად მოწადინებულია დასავლეთის ქვეყნები ომის ცეცხლში გაეხვიონ და იქ ყველანი გაიყლიტონ და ამოიბუღონ; თვითონ საბჭოთა კავშირი კი საომარ კონფლიქტის გარეშე უნდა დარჩეს. ამის შესახებ ჩვენი განხეთის ფურცლებზე ჩვენ არაერთხელ დავგებოთ. ახლა კი ამას სავესებით ვედასტურებს ბოლშევიკების ყრილობა. ის მოსკოვის მთავრობას სამოქმედო დირექტივას აძლევს: «დაიცავს სიდრთხილვ და საშუალება არ მისცეს ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, ჩაითროს კონფლიქტში ჩვენი ქვეყანაო».

შეიძლება ამ დადგენილების შემდეგ მაინც საფრანგეთი და ინგლისი დარწმუნდებიან, თუ რა დიდ ილუზიას განიცდიან ისინი, როცა ფიქრობენ საბ-



ჭოთა კავშირთან საქმის დაუქრებას, მასზე დაყრდნობას, მის საშუალებით და დახმარებით ვისიმე მოგერიებას და ან ვინმე წინააღმდეგ გალაშქრებას.

შეიძლება მოსკოვმა სხვა სახელმწიფოებს მისცეს რაიმე დაპირება და მათთან ერთად საერთო დეკლარაციებიც გააკეთეს, მაგრამ მისი დაპირებების ფასი ცნობილია და მის დეკლარაციებსაც რეალურად არაოსადეს კარგი არაფერი მოყვლია.

ყრილობის მიერ მიღებული მეორე დირექტივა ამბობს: «ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყნებთან, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთივე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან».

მოსკოვი გაურბის ყოველგვარ კონფლიქტს და ის შვეა საქმიანი კავშირში ყველასთან, თუ ამ გზით სტალინი კი შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას.

და მართლაც, დღეს რუსეთი ვაპრობს იტალიასთან, აწვდის მას სამხედრო საჭიროებისათვისაც კი ყოველგვარ ნედლ მასალას; იტალია კი თავის მხრივ უშენებს საბჭოთა კავშირს სამხედრო გემს; ამ წლის 7 თებერვალს მათ შორის დაიდვა აგრეთვე სავაჭრო ხელშეკრულება, რომელსაც იტალიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვი მოწადინებულია აგრეთვე ვაპრობა და საქმიანი დამოკიდებულება იქონიოს გერმანიასთანაც; ეს უკანასკნელიც დიდად დაინტერესებულია ამ საერთაშორისო გართულების ხანაში რუსეთი მის მიმართ იყოს ნეიტრალური, მასთან კარგი განწყობილება ჰქონდეს და რუსეთიდან საჭირო საქონელი გამოჰქონდეს.

მაგრამ მოსკოვმა რომ ვერ შესძლოს კონფლიქტის გარეშე დარჩენა და შიგ იქნას ჩათუფული? ასეთ შემთხვევაში რის იმედი აქვს მას და ვის ეყრდნობა ის?

სტალინი ყრილობაზე ამბობდა, რომ თავის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირი სხვათა შორის ეყრდნობა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მორალურ მხარდაჭერას ყველა ქვეყნის მშრომელთა მხრივ და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას.

მაგრამ ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური მთლიანობა ზღაპარია და ამ საზოგადოებაში შუელი და წინააღმდეგობანი იფეთქებს პირველ შემთხვევისთანავე.

სხვა ქვეყნების მშრომელთა რიგებშიც საბჭოთა რევინი და მოსკოვის პოლიტიკა ისეა სახელგატეხილი და პრესტიჟი დაცემული, რომ იქ ბოლშევიკების გადასარჩენად თავს დიდად არავენ შეიწყუბნეს.

განსაკუთრებით, ამისათვის თავს არ შეიწყუბნებენ საბჭოთა კავშირის ხალხები, რომელნიც ამ 20 უკანასკნელი წლის განმავლობაში საშინელ ტრიპისას განიცდიან და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

დიდი ილლუზია და თავის მოტყუილება იქნებოდა, თუ საბჭოთა რუსეთი და ბოლშევიკური რევინი ასეთი დასაყრდნობებით ფიქრობს ფონს გავიდეს და არსებული მდგომარეობა შეინარჩუნოს.

ცხადია, შინაური, თუ საგარეო ცოტაოდენ გართულების არ ხალხის დამორყვინისთანვე ის როგორც უბრალო ხუხულა, დაინგრევა.

ბ. ბ.

დაცინვა თუ გაზურკთხილება?

კომუნისტური ცინიზმი საყოველთაოდ არის ცნობილი; ის არის საზღვარდაუდებელი და სასუსებით შიშველი. ამ ცინიზმის ერთი მუერმეტყველი დადასტურებაა სხვის თვალში ბეწვის ძებნა, ხოლო თავის საკუთარში დვირეს არ შემჩნევა.

მიმდინარე წლის «ანტირელიგიოზნიკის» პირველ ნომერში ერთი დაქირაგებული კალმოსანი არკვევს რომის იმპერიის დაღუპვის მიზეზებს და მთავარ მიზეზებად ასახელებს სამს იარას. ამათგან პირველია მონური შრომა. «ყოველგან და ყოველთვისა,—გვიხსნის ავტორი,—მონური შრომის შემოღება იწვევს საწარმოვო ძალთა გაფლანგვას და საწარმოვო საშუალებების დამკინებას». სწორად არის ნათქვამი. მონური შრომა ნაყოფი უმნიშვნელაა, მონური შრომის შემოღება სახიფათოა. განსაკუთრებით დღევანდელ გართულებულ და განვითარებულ ტენიკის ხანაში მონურ შრომას გაცილებით უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვინმე სარგებლობა. იფლანგება და უფროოდ ისაობა არა მარტო ცოცხალი ძალა, რომელსაც მონურ შრომის ქვეყანაში დიდ ფასსა და ღირებულებას არ აძლევენ, არამედ უფროოდ ფუქდება და უფარგის ხდება ძვირფასიანი სათუთი მანქანა, ამის უტყუარ მაგალითს იძლევა თვით საბჭოთა კავშირი, სადაც მონურმა იძულებითმა შრომამ შეიწირა მშრომელთა მილიონები და გაანადგურა საწარმოვო საშუალებანი.

მეორე იარა იმავე ავტორის თქმით არის «მიწის საკუთრების ეკსპროპრიაცია». კომუნისტი კალმოსანი განმარტავს, რომ «ეკსპროპრიაციამ ვერ საზოგადო და შემდეგ კერძო მიწების წაართვა რომს ძირითადი ნიდაცი და სამხედრო ძალა, რადგან გლეხობა იყო რომის ლეგიონების მთავარი ძალა».



ახლად ყველა ქვეყნების ჯარები უმთავრესად გლეხობისგან შედგება; გამონაკლის არ შეადგენს არც საბჭოთა კავშირი, სადაც გლეხობას წართვეს არა მარტო მათი საკუთარი მიწები, არამედ მთელი ციცილია და მკედარი იწვევს. საბჭოთა კავშირის გლეხი დღეს არის ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს მოკლებული ბატრაკი სტალინის მიერ იძულებით შემწილ კოლხობებს. ამ უკანასკნელთა შექმნას წინ უძღოდა არა მარტო მატერიალური, არამედ ფიზიკური განადგურებაც. გლეხობის უმრავლესობა გამოაცხადეს კულაკებად და ახალბინი ოჯახები, — დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. — გამოყარეს თავიანთ სახლებიდან და ცარიელ-ტარი-ფელი გარეკეს უცხო მხარეების იძულებითი სამუშაოზე. ამ ბარბაროსულმა ოპერაციამ 4-5 წლის განმავლობაში შეიწირა 20 მილიონამდე სული.

მესამე იარა «ყაჩაღური გადასახადებით», განაგრძობს «ანტირელიგიოზნიკის» უბოლიცისტი; და აქაც, რა თქმა უნდა, რომის მაგალითზე მივივითითებ: «ჩვენ დოქუმენტებიდან ვიცით მრავალი შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა ვარბოდა თავიანთ სოფლებიდან მარტო იმისთვის, რომ ვერ გაუძლეს გადასახადებს და ვარბოდენ საითაც მოეჩვენებოდათ»

საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო მჭერმეტყველურ მაგალითებს ქონდათ და დღესაც აქვთ ადგილი. საბჭოთა კავშირში გლეხების გაძარცვას აქვს არა მარტო ფისკალური ხასიათი. არამედ აგრეთვე პოლიტიკურიც. კომუნისტურ ხელისუფლებამ ვერინოდა, რომ ეკონომიურად სოფელს არ გაეწრო ქალაქისთვის. ეს ცინკურად განაცხადა ჯერ კიდევ 1922 წელსი პრეფესიონალურ კავშირების ყრილობაზე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მანინ დელმა თავმჯდომარემ რიკოვმა. ის ამტკიცებდა, — და ეს მტკიცება არ იყო საფუძველს მოკლებული, — რომ თუ სოფელი შექმნიდა ქალაქზე უფრო მეტ სიმდიდრეს, თუ ეკონომიურ ზრდაში გლეხი მუშას გაუსწრებდა, კომუნისტური რეჟიმი თავიდან ვერ აიცილებდა კატასტროფას. ამ უბედურების ასაცდენად რიკოვმა წამოაყენა უებარი საშვალეხა: შესაფერისადაც კატასტროფის პოლიტიკი გლეხობის სისტემა. ტიური ძარცვა. საბჭოთა ხელისუფლებაც ამ გზას გაყვა; სასოფლო მეურნეობა წელში გაწყვიტა ნატურალურმა და ფულადმა გადასახადებმა. შიმშილმა მოიკო მთელი საბჭოთა კავშირი; სოფლები მთლიანად იურბოდენ; ტოვებდენ მამა-პაპათა ოფლითა და სისხლით გამოხივრებულ ადგილ-მამულს და ვარბოდენ სათიკენაც თვლი გზას უჩვენებდა. დაშინებულ ხელისუფლებმა დაადგა ეგრეთ წოდებულ «ნევის» გზას; გლეხობას ცოტა შედავით მიეცა და მნაც სული მითიქვა. მაგრამ ეს ხანა მოკლე აღმოჩნდა. მთელი მსოფლიოს მშრომელთა «გენიოს მამას» ძილი დაუფრთხო გლეხობის ოდნავმა გაღონიერებამ და ახალი საშვალეხა გამოიკონა: გლეხობა გაძარცვა და კოლხობებში შერევა გაუგონარი რეპრესიების საშვალეხით, კოლხობების ბატრაკად ქვეული გლეხი თავის ნაშრომის 30%-საც ვერ ღებულობს. მონაწილე 25 სოფელი. მიიქვთ სარტაქტროო სადაურებს,

35 პროც. მიაქვს ხელისუფლებას ქალაქების გამოსაკვებად, დანარჩენი 10 პროც. მიღის სხვა სახის გადასახადებში.

«ანტირელიგიოზნიკის» უბოლიცისტიათის საბჭოთა კავშირის ეს მხვირალა მაგალითებით თითქმის არ ახსებამენ. იგი მყოფად ძველი რომის მაგალითებით სარგებლობს და დასკვნის, რომ ის ქვეყნები, რომელნიც უპყრობილი არიან მის მიერ ჩამოთვლილ სამი ავადმყოფობით, აუცილებლად დაილუბებიან იმ შემთხვევაშიაც კი, რომ ისინი არ გახდენ მსხვერპლნი სერიოზული სამხედრო თავდასხმისა. ასეთი ქვეყნები თურმე მხოლოდ ფაშისტურია, ხოლო საბჭოთა კავშირი კი საეგებით დაცული ყოფილა საშინელი იარებისგან.

რა არის ეს? მარტო ცინიკური დაცინვა და მკითხველის გამახსარებება თუ გაფხილვება? იქნებ «ანტირელიგიოზნიკის» თანამშრომელი მულს მიტომ ელაპარაკება, რომ მაზლს გააგონოს, რომზე მიტომ უკეცოკოს, რომ მოსკოვი გააფრთხილოს?

არ არის შეუძლებელი, რომ ეს მართლაც მოხერხებულად და მოქნილად გამოთქმული იქნეს, მაგრამ ის კი შეუძლებლად მიგვანჩია, რომ კრემლის დღევანდელი ბატონებმა მას ყურადღება ათხოვონ და ანგარიში გაუწიონ.

კუზნაის მხოლოდ სამარე გაასწორებ. კრემლის კუზნაისებ ამ სამარეს თავის საკუთარ ხელებით ითხრან.

ნ. ა.

მართობის საკითხი ემიგრაციაში

საქართველოს პატრიოტულ-პოლიტიკური ემიგრაცია მალე ოცი წელია დღენილობს ეატრების მძივე ტვირთის სამშობლოს განშორებისას. მაგრამ ორგანიზული კავშირი—გონებრივი თუ მორალური—უცხოეთის ქართველობას არ დაუპარავს ბედკრულ სამშობლოთან. ისტორიულად თუ მიუღვებით, ის არ ჰკავს ბევრ სხვა ქვეყნის ემიგრაციას. სინამდვილეში ჩვენ ვებრძვით არა შინაგან კრიზისს ქართული ცხოვრებისას, არამედ უცხო ძალას. რეჟიმი, რომელიც ჩვენი ერის ცხოვრებაში არის გაბატონებული, არ გამოხატავს დამოუკიდებელ ძალას, კულტურული მიმართულებას, საღ ეროვნულ ტენდენციას. საქართველო არის რუსეთის კოლონია, უფლებრივი ჩაგვრა, უცხო ძალის ბატონობა ეკონომიურ ცარცვასთან ერთად გაუთავებელ სისხლისღვრითა ველინება ქართველობის კერას. სწორეთ ამ შეურიგებელ წინააღმდეგობაში არის ის ძალა, რომელიც აცოცხლებს ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას.

ქართველი ერის ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლება, ეკონომიური წინსვლა, ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა, აი რა შეადგენს ჩვენი ხალხის ბრძოლის საგანს. ჩვენ—ემიგრანტებს, აღზრდილს სამშობლო მიწის ნიადაგზე, ბრძოლის საგანი მხოლოდ ერთი და იგივე გვაქვს. ცხადია, ემიგრან-



ტების ბრძოლის ასპარეზი განსაზღვრულია; მოკლებული პირდაპირ მოქმედებას, ჩვენ მხოლოდ მებრძოლი ქართველი ერის დახმარება შეგვიძლია, ცხადია იმ პირობით, რომ დევნილები ერთსულეოვანი განუყოფელი ვიქნებით ერთვულ ნიადავზე.

უდავოა, ჩვენი ეროვნული პოლიტიკა დაკავშირებულია საერთო ვითარებასთან. როგორია დღევანდელი მდგომარეობა ამ მიმართულებით? მრავალი წლებია, რაც კაპობრობა განიცდის ნერვოზლობას, ლოკალურ ომებს, საზოგადო ოპისათვის ნერვოზულათ მზადებას. არავინ იცის, როგორია კატასტროფით დათავდება თანამედროვე კრიზისი. ყოველგვარი იდეოლოგიური უპირატესობის გარეშე გაბედულათ ერთის თქმა შეიძლება: პატარა ერების დასულების ბედი მეტად კრიტიკულია. ცხადია, იქ, სადაც ყოველივეს ძალა სწყვეტს, უფლება უკუგადებულია, მაგრამ იმედოვნებს კაცობრობა შენაფერის წინასწარობას გამოეხანავს და სუსტიებისათვისაც მზის ქვეშ საარსებო კუთხე დარჩება...

საერთო გართულებამ, გაურკვეველმა აწმყომ, მტრების მოსალოდნელმა დამარცხებამ მთელი ქართველი დააფიქრა, მისმა ხელმძღვანელებმა და მათ შორის ყველაზე პასუხისმგებელმა და საპასუხისმგებლო ოსტრზე მდგომან ნ. ჟორდანიამ გადმოიხსროდა იდეა გაერთიანების, ეროვნული მთლიანი ფრონტის. ამ მოწოდებას გამოესმაურენ ყველა ცნობილი მოღვაწენი. თუ უბრალო ჯარისკაცნი იმათი გამოკლებით, ვისაც ამის მორალური უფლება არ ჰქონდათ.

ქართველი დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწეების გვერდით საქიროთა თავიანთი ოპოციები განსაზღვრონ ახალი თაობის წარმომადგენლებმა, ვგულისხმობთ იმ თაობას, რომელიც ეროვნულ ასპარეზზე გამოვიდა საქართველოს ცხოვრების არაუფავალურ პირობებში. ამ თაობას ბევრი რამ აკლია, სახელდობრ გონებრივი მოზმადება. მაგრამ თან სდევს პარტიოტული აღტკინება და მგობრული სული. როდესაც ჩვენ ემიგრაციაში მოგვდით, გაკვირვებული დავრჩით იმ გადთრებული ბრძოლით, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა. დაიწყებული იყო უწმიდესი საგანიც კი, სადაოდ გამხდარი იყო ყოველივე, აღარ იყო დანდობილი საფლავებიც კი. ეს იყო არაჩვეულებრივი კონტრასტი მებრძოლი საქართველოს პირობებისა.

გასავება, დამარცხებულ ერის პარტიებს სკიროთა დამარცხების მიზეზების გამოხანავა, განმთავისუფლებელი ბრძოლის ზეგების ძიება, ხელმძღვანელი პარტიის კრიტიკა. მაგრამ როცა კრიტიკა ბრძოლა იქცევა, ბრძოლა მტრობათ. საქმიანი განაჩენი ცილისწამებათ, როცა ტენდენცია ადვილს უთმობს ლოიალურ მხაროვნებას, ცხადია უკიდურესობა ფატალური. ამართველ პარტიას მიაწერეს ყოველივე ცოდვები, საქირო გახდა წარსულის დამკრიტიკე და მისი კარიკატურული წარმოდგენა. პოლიტიკური მოღვაწეები ისე შორს წავიდნენ, რომ სოც.დემოკრატები არაეროვნულ პარტიათ, არაპარტიოტებათ გამოაცხადეს. მსგავსი არარაციონალური ოპერაცია, ცხადია, მიხანს ვერ მიაღწევდა,

ერთია წერა, მეორეი სინამდვილე. მათი ცდა უნაყოფო გამოდგა, პარტიოტულმა ემიგრანტმა მათი აზროვნება არ გაიხიარა. ვინც დროზე უკან ვერ დაიხია, სწორით ისინი დაჩინე ეროვნულ-პოლიტიკურ გარეშე და გარიყოლნი; ზოგმა მათგანმა თავი შეაფარა «კავკასის» სამარცხიონი შენობას, საიდგანაც ეწვევიან საეჭუო მოქმედებას. ჩვენ მიხანს არ შეადგენს მეჭურა, მაგრამ დრო ადვილად დამლის მათ ცულ საქმიანობას. ბევრი რამ გამოჩნდება, მანამ კი ლევის კალმოსნები მოცდით არაფერს დაპკარგავენ.

გაკვირთ შევეხეთ წარსულს მხოლოდ იმიტომ, რომ გვეჩვენებოდა: უსამართლო ბრძოლა ენებს საქმეს და ჩვენ რიგებში შეაქვს არეულ-დარეულთაბადღეს ემიგრაციის დიდი უმრავლესობა გაერთიანების სურვილით არის შეპყრობილი. ჩვენ და სხვა პარტიების დაჯგუფებანი სხვადასხვა გვართო ვუპურობთ სოციალურ საკითხებს. მაგრამ იდეოლოგიური განსხვავებანი არ-არის აქტუალური დღეს ჩვენი საქმისათვის. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის. დღეს როცა მთავარი საკითხი არის არა მარტო ეროვნული მეობის აღდგენა, არამედ თვით ფიზიკური არსებობა, საერთო ენა უნდა მოიხანოს ყოველგვარი უკანა აზრების გარეშე, ან საეჭუო მანიოვრების გამოიყენებ.

არსებობს ერთი პირობა, რომელსაც ზოგი თანამემამულენი დაიწინებთ მოითხოვენ და რომელიც უნდა ითქვას, უპარტიო პარტიოტულ მასს ძლიერ იტაცებს, ეს პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციულად დამლის საკითხია. გულახდილათ ვამბობთ, შეუძლებელია ეს რადიკალური ოპერაცია შესრულებულ იქმნას. უცხოეთში არსებული ქართული პარტიების უმრავლესობა მოდის საქართველოდგან, მათ აქვთ ტრადიციები, იდეოლოგიური საფუძვლები, ადამიანთა შემართებული მგობრული ძაფები. ძნელი დასაჯერებელია, რომ პარტიის წევრობა იყვეს დაბრკოლება ეროვნული საქმიანობისთვის.

ბოლოს და ბოლოს კულტურული ერის შეილება თავიანთ მეობას გამოხატავენ პოლიტიკურ წყობილებანი, რომელთა მიხანი უნდა იყვეს ყოველ მომენტზე ერთე ფიქრი. უცხოეთში არსებული ქართული კავშირი იძლევა ეროვნულ მთლიანობის ბანხას. ვიცით არსებობს «ერთ პარტიოტობა», სხვგან ჩვენ არ შეგვხვებით. მაგრამ უსულიერებით ვიცით, თუ რა შინაარს ატარებს რუსეთში ერთადერთი პარტია.

გაკვირთ შევეხეთ ემიგრაციის პოლიტიკურ და ეროვნულ მიზეზებს, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე თვით დვენილების კულტურული და ფიზიკური არსებობა, რადგან აქ არის მისი ბრძოლის დინამიზმი. ჩვენ ყველამ დავინახეთ, პოლიტიკურ უაზრო ბრძოლის შეწყვეტებას მოჰყვა ფრიად საინტერესო კულტურული მანიფესტაციები—მუსიკალური საღამოები, ლექციები და სხვა.

ჩვენი ემიგრაცია არის საზოგადოება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არიან ბავშვები, მოხუცები,

ჯანით აღსავსე ვეჯაკები. არსებობს ოჯახები, სიხარული-სევდა, ავადმყოფები და უფროავად გათხრილი საფლავები. ყოველივეს სურია მოვლა. საზოგადოებრივი თანამშრომლობა. ჩვენ არ ვაყენებთ გვეგმებს. ამას გაერთიანებული ორჯანობი შესწავლებენ. ბავშვების ბედი სერიოზულია, საჭიროა ქართულმა კერამ, მეტი კონტაქტი გამოიჩინოს მშობლებთან. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მოხუცები. ახალი თაობა უმადური არ უნდა იყვის, ბრძოლაში გაკლარებულ ქართველობის მიმართ. ამაღლებებშია მათი სიღარიბე, მარტობა, და ვაი ხშირათ უფროავად გათხრილი საფლავები. საჭიროა მათი მორალურ გამხსნევებასთან ერთად მატერიალური დახმარებაც. ისინი ქართული აზროვნების სხვადასხვა წარმომადგენლებია. მაგარა აბა ვაივით სად იწყება პარტია, და სად თავდება ერთი.. არსებობს მხოლოდ ერთი, დამსახურებული მოღვაწეები, რომელთა მიმართ გადაუხდელი ვალი გვაქვს.

ჩვენ ვასკვნით: პოლიტიკური და მორალური ფრონტი ქართული ემიგრაციის შტრის წინააღმდეგ. ბუნებრივად ეს ნაბიჯი გამოიწვევს ქართული კოლონიის გადახალისებება, მის აქტიურ მოქმედებას. საჭიროა იყოს ქართული საზოგადოება ღირსეული, ხილო ღირსეული საზოგადოება უნდა პატრონობდეს ჩვილს და მოხუცს, უფლიდეს ავადმყოფს. ცალკე ყველა უძლურია—ერთად კი მძლავრი. ამ კეთილშობილურ საქმიანობაში სოც. დემოკრატები—უფროსები და უნცროსები—თავიანთ მოვალეობის სიმალლზე იქნებიან.

გვ. წერეთელი.

უცხოეთის მიმოხილვა

გასული წლის სექტემბერში ვეროპის დიდმა სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს ჩეხოსლოვაკიას და არ მისცეს მას გარანტია მისი საზღვრების და დამოუკიდებლობის დასაცავად. წინააღმდეგ, ამბების და მდგომარეობის გასაგებად ჩეხოსლოვაკიაში გაგზავნილი სპეციალურ დელეგატის—ინგლისელი რენსიმანის წყალობით და დაკლდინი მოხდა, რომ ჩეხოსლოვაკიას დაათმობიეს სუდეტელ გერმანელებით დასახლებული, თუ სხვა მისი ადგილები მეზობელ სახელმწიფოებისათვის.

ინგლისის და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი სრულიად არ იყო იმ დროს მზად დიდ სახელმწიფოებს ცენტრალური ვეროპის რომელიმე ქვეყნისათვის თავი გამოეყო და მის დასაცავად ებრძოლა: არ გრძნობდენ, არ ხედავდენ იქ უშუალოდ თავის ინტერესებისადმი რაიმე დიდ საშიშროებას. მიუხეზნენ ოთხ სახელმწიფოს კონფერენციის შემდეგ გერმანიის ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწეები ერთხმად აცხადებდენ, რომ მათ აკონთარტი ტერიტორიალური რეგანდიკაციები აღარ უპირდათ არც ცენტრალურ ვეროპაში და არც, მით უმეტეს, დასავლეთით.

თავის მხრივ ინგლისის პრემიერი—ჩემბერლენი

თემთა პალატაში აცხადებდა, რომ ცენტრალურ ვეროპაში გერმანიის გავლენას, მის იქ კომერციულ საქმიანობის უპირატესობას ინგლისი ცნობდა და არ ებრძოდა. კიდევ მეტი. ინგლისი პირდაპირ, თუ არაპირდაპირ ამცნობდა გერმანიას, რომ, თუ მას აღმოსავლეთით რაიმე ინტერესი და ზრახვები კი ჰქონდა, არც ამაში შეუშლიდა ის მას ხელს. და ამ მიმართულებით ის მას კიდევაც აქებულობდა. ინგლისი ცდილობდა გერმანია აღმოსავლეთში გავლენის მოპოვებით დაეკმაყოფილებოდა. რათა მესამე რაიხს ბრიტანეთის იმპერიისათვის კოლონიალური, თუ სხვა მოთხოვნები აღარ წაეყენებია.

გერმანიის ვაჭრობა და საქმიანობა ცენტრალურ ვეროპაში და ბალკანეთის ქვეყნებში წინათაც დიდ იყო 1929 წლის სტატისტიკით გერმანიას ამ ქვეყნებში თითქმის იმდენივე საქონელი შეჰქონდა და გამოაქონდა, რამდენიც ერთად ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და ამერიკას. მიუხეზნის შეთანხმების შემდეგ კი გერმანიამ მისი ვაჭრობა იქიკვე უფრო გააძლირა—გააცხოველა და ყველა ამ ქვეყნებში უდიდესი გავლენა მოიპოვა.

გასულ მარტის 14-ს ღამით გერმანია ინგლისის და საფრანგეთის დაუკითხავად და მათი ცნობის გარეშე სამხედრო ძალებით პრაღა მოაკავა, შემდეგ ბოგემიის და მორავიის ოუჟპაცია მოახდინა და კარპატების უკრაინა მისი ნებართვით უნგრეთმა შეიკავრა. ჩეხოსლოვაკიის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობა შეწყდა. გერმანიას დარჩა ჩეხოსლოვაკიის ერთი მილიონიანი ჯარის უკანასკნელი სისტემის იარაღი. 1.000 აეროპლანი, სამხედრო ქარხნები, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ბანკში მდებარე დიდძალი ოქრო და სხვა დიდი ქონება. ამით გერმანიის სამხედრო ძლიერება კიდევ მეტად გაიზარდა.

ჩეხოსლოვაკიის დაკავებით და ქალაქ მემელის შემოერთებით გერმანია პოლონეთს ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით რკალივით ირგვლივ შემოერტყა.

ჩეხოსლოვაკიის დაკავების კიდევ რამოდენიმე კვირის წინ ინგლისის და საფრანგეთის პრესა ეყენებდა გამოსტეჟამდა და სხვადასხვა ცნობებს აქვეყნებდა იმის შესახებ, რომ გერმანია ცენტრალურ და ბალკანეთის ქვეყნებში კომერციულ გავლენით არ ეკმაყოფილებოდა; მას აზარდ აქვს ეს ქვეყნები გასალურ მდგომარეობაში ჩააყენოს, ყოველგან იქ განდეს ბატონი და ბრძანებელი და, როცა წელი საკმაოდ გამაგრებული ექნება, დასავლეთს მოაწივს და მას შეებრძოლოსო. პრესა ამტკიცებდა აგრეთვე, რომ გერმანიის ეგვმა გადალახოს პატარა ქვეყნები—გოლანდია, ბელგია და შვეიცარია და ამ ზეზებით შევისოს და შეუტროს ინგლისს და საფრანგეთს. ის ხმები, რომ, ვითომც, გერმანია ამ დროებით კარპატების უკრაინის ზვით საბუთთა რუსეთისაკენ ილაშქრებდა, უბრალო მანიოვრად იქნა აღიარებული ამბობენ, რომ გერმანიის მთავარი მიზანია მსოფლიო გეგემონია და ამის განსახორციელებლად კი პირველ ყოვლისა აუცილებელია მან მოსტეხოს და დაამარცხოს ისინი, ვისაც დღეს ხელთ უპყრია მსო-



ფლიოს ბატონობა; ეს ქვეყნებია ინგლისი და საფრანგეთი, განსაკუთრებით, რასაკვირველია, ბრიტანეთის იმპერია; რუსეთთან ანგარიშების ვასწორებას ის შემდეგშიცა მოეწონება...

ჩემსოპოპოვაციის ოკუპაციის შემდეგ ზემოდ აღნუსხული ხმები გერმანიის შესახებ კიდევ უფრო განმტკიცდა. ამას დაემატა გერმანიის და პოლონეთს შორის უთანხმოების გაღვივება და პირველის მეორესადმი მუჭარა ამ უკანასკნელ ხანებში.

ამან საფრანგეთში და ინგლისში საზოგადოებრივი აზრი ააღელვა და ამის შედეგათ მოთხოვნილია ენერგიული ზომების მიღება და აქტიურად ჩარევა აღმოსავლეთ ქვეყნების დასაცავად. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ინგლისზე, რომელიც დღეს კონტინენტის საქმეებზე აქტიურად ერევა და ხელმძღვანელ როლს თამაშობს.

14-15 მარტის ამბების შემდეგ პოლონეთი და ბალკანეთის ქვეყნები—რუმინია, იუგოსლავია, საბერძნეთი და ოსმალეთი ძალზე დაზინდენ და მათში თავდაცვის და თავგადარჩენის ღრმა ინსტიქტმა გაიღვიძა.

ინგლისის მთავრობამ, რომელიც ჩვეულებრივად იქაური საზოგადოებრივი აზრის გამოხატველი და მატარებელია, აიღო ინიციატივა, გამართა ყველა ამ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება და ემებს გზებს მათ გასაერთიანებლად გერმანიის წინააღმდეგ. სანამ კიდევ ინგლისი პოლონეთთან ხელშეკრულებას დასდებდა და მას ხელს მოაწერდა, ჩემბერლენმა საჯაროდ განაცხადა, რომ, თუ პოლონეთს თავს დაესხმოდნენ, დიდი ბრიტანეთი დაუყოვნებლივ მას სამხედრო დახმარებას აღმოუჩინდა. და ამ განცხადებას ის საფრანგეთის მთავრობის სახელითაც აკეთებდა, რათა მისთვის მეტი წონა და ფასი მიეცა, ორი დიდი სახელმწიფოს ერთსულთვანების მანიფესტაცია მოეხდინა და მით შესაძლებელი უეცარი აგრესია შეეჩერებინა.

ინგლისმა და პოლონეთმა დასდევს ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება. პოლონეთს ასეთივე სამხედრო ხასითის ხელშეკრულება აქვს საფრანგეთთან და რუმინიასთან. დღეს სწარმოებს ამ ოთხ სახელმწიფოს შორის გაცხოველებული მოლაპარაკება მათი შეთანხმებულ და საერთო სამხედრო გეგმის გამოუშვებაზე. ეხლა ინგლისმა და საფრანგეთმა რუმინიას და საბერძენთსაც მისცენ ისეთივე განცხადება, როგორიც უკანასკნელად პოლონეთმა მიიღო მათგან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოსმალეთს და დიდი მუშაობა სწარმოებს დღეს, რომ მან ომის დროს დარდნელის სრუტეებში სამხედრო გემების გატარების უფლება მისცეს მხოლოდ რუმინიას და მისი მოკავშირე და დამხმარე სახელმწიფოებს, აგივე აღუკრძალოს კი აგრესორებს.

დედ აქტიობას იჩენენ ეხლა აგრეთვე ტრიალიტალური სახელმწიფოებიც. 7 აპრილს იტალია, ალბათ გერმანიის თანხმობით, აღბნეთში შევიდა ჯარებით და იქ დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული ადგილები დაიკავა. ერთი მხრივ იტალია იჭრება

ბალკანეთის შუაგულში: ზურგში ექცევა იუგოსლავიას. პირდაპირ ემუქრება ბოლგარეთს და საბერძნეთს და იუგოსლავიის რკალის შემორტყმით ცდილობს იზოლიაციაში ჩაავდოს რუმინია. გერმანიას კი ბატონდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში მდინარე დუნაის გასწვრივ და რუმინის გზით ცდილობს გავიდეს შავ ზღვაზე.

ეხლა ტრიალიტალურ სახელმწიფოების ანტიკომინტერნულ პაქტს შეუერთდა აგრეთვე ისპანიაც. მან განსაკუთრებით ააღელვა ამერიკა. აზრია, რომ ამიერიდან ისპანიის საშუალებით შესაძლებელია ტრიალიტალურ სახელმწიფოებმა მეტი გავლენა მოიპოვონ სამხრეთ ამერიკაში. ამიტომაც არის, რომ დღეს ამერიკაში, საერთოდ, დიდი მოძრაობაა ნეიტრალიტების კანონის გადასინჯვის სასარგებლოდ.

დარჩა რუსეთი. მიუხედავად კონფერენციის მოწაწილ სახელმწიფოში საბჭოთა რუსეთს იმ დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და მასთან არავითარი საქმის დაქურა არ უნდაოდათ. ჩემსოპოპოვაციას გააწყვეტინეს მაშინ რუსეთთან კავშირი და მოსკოვსა და საფრანგეთს შორის არსებულ პაქტს დიდი ფასი აღარ ეძლეოდა. ჩემსოპოპოვაციის გერმანიის მიერ დაკავების შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა და საბჭოთა რუსეთისადმიდაც სხვა განწყობილება შეაჩვენა.

ინგლისი ცდილობს ეხლა რუსეთი შემოიყვანოს ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის და რუმინის თავდაცვის ბლოკში გერმანიის და იტალიის საწინააღმდეგეთ. მაგრამ პოლონეთი და რუმინია რუსეთთან კავშირს და თანამშრომლობას გაურბიან და ასეთი რამ მიზანშეწონილად არ მოიჩინათ. არც ერთ მათგანს არ უნდა და არ ენდობა, რომ მოსკოვმა თავისი ჯარები პოლონეთს. თუ რუმინის ტერიტორიაზე შემოიყვანოს. რუმინიას ეშინია, რომ რუსები შემდეგ ბესარაბიას აღარ დატოვან, პოლონეთს კი არ დაუეციენია 1920 წელი. ორჯა მოსკოვი პოლონეთის დასაპყრობათ ომს აწარმოებდა.

მოსკოვიც თავის მიზრთ ათასნაირად უტრიალებს ამ საკითხს. ის მხოთიფებს იმაზე, რომ დასავლეთით ომის დროს შესაძლებელია იაპონიამ შორეულ აღმოსავლეთით გახსნას საომარი მოქმედება, რუსეთ-საფრანგეთის პაქტის ძალით კი ურთიერთ შორის დახმარება ნავთლისმწვეია მხოლოდ ევროპის კონფლიქტების შემთხვევებში და მოითხოვს ამ პირობების შეცვლას.

ინგლისთან და საფრანგეთთან შეთანხმება რომ გააძნელოს, მოსკოვი პოულობს მიხეზს და მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთთან კავშირი არ უნდათ თვით პოლონეთს და რუმინიას, რომელთაც უშუალოდ ემუქრებიანთა.

საბჭოთა რუსეთი წინააღმდეგია არა თუ იმის, რომ ის გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაერთოს, არამე მასთან მორიგება და შეთანხმება ძნელი სდებია იმ მხრივაცადაც, რომ მან პოლონეთის და რუმინის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი დაიცვას და ომის დროს მათ ნედლი მასალა მიეციდოს და მიაწოდოს.

როცა ევროპის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ რუსეთი მზად არის ომის დროს პოლონეთს მიყიდოს სამხედრო იარაღი და მისთვის სხვა საჭირო საქონელი. მოსკოვმა საჩქაროდ ეს ცნობა უარყო და განაცხადა, რომ ასეთი დაპირება მის არავისათვის მიუძევა.

საბუთო რუსეთის დღევანდელ პოზიციას ბევრი იმით ხსნის, რომ გერმანია თავის მხრივაც ცდილობს რუსეთთან კარგი დამოკიდებულება დაიპყროს. რათა მოსკოვი ბერლინისადმი ნეიტრალური იყოს და მათ შორის უფრო მკვიდრი კავშირი დამყარდეს.

Z.

სწავლის წესები ქართულ სკოლებში

მოსკოვი შეეცადა საქართველოს დაპყრობის მეორე დღესვე ბოლშევიზმის ბაცილებით მოყვამლა ნორჩი ახალგაზღვრების სული, მისი განებრივი განვითარება წარემართა ცალმხრივი გზით. ის ფიქრობდა, ერთხელ დაპატრონებულ, ბოლშევიკურად აღზრდილ თაობას ადვილად დააყენებდა თავის სამსახურში, გახდიდა თავის ყურმოჭრილ მონად.

ამ მიზნით ის არ დაერიდა ყოვლად საძაგელ აღზრდის მეთოდებს და შექმნა ე. წ. „პიონერთა“ ორგანიზაციები. 8-10-12 წლის ბავშვებს ამცადინებდენ, წითელიდენ კომუნისტური შხამის შესათვისებელად, საგანგებოდ გამოშვებული პატარა წიგნაკები სავესიყო სხვადასხვა სურათებით, კითხვებითა და პასუხებით. ვინ არის მშობელი და მასწავლებელი? ლენინი. ვის უნდა დაუჯეროთ? კომუნისტი. ბავშვები მართავენ „კრებობას“. ბავშვის გულტერყვილობით სიიარვე საკუთარ დღდაზე, მამაზე, დამამაზე.

მთელი წლების განმავლობაში კომპარტია გულში უნერგავდა ბავშვებს სიძულვილს მშობლებისადმი, ანებებებდა მათ, რათა მათი გული მოეგო და აღეზარდა ისინი კომუნისტურ ყაიდაზე. ოჯახის, მშობლების როლი საკუთარ შვილების სწორ გზაზე დასაყენებლად ძველ დრომეჭულ „ბურჟუაზიულ“ ნაშთად იყო აღიარებულა. ვის არ ახსოვს სამხედრო კომუნისტებისა და შემდეგი წლების გაადთრებული ავიტაცია ბავშვების ტვირისა და გონების დასაუფლებლად! როცა შემოფოთებულ მშობლებს ბავშვები სკოლებიდან გაჰყავდათ, რომ ისინი გადაერჩინათ გამბრუნებლ მეთოდებისაგან, საბუთო მათსიუღეღები ჩინსება მათ თავზე ატყდებოდა. მათ მტრებად აცხადებდენ. აქვებდენ მოწაფეებს, რათა ოჯახში ჩამოეგდათ შული, მტრობა, გაუტანლობა, საკუთარ მშობლებისადმი შვილთა უპატივცემულობა.

სწავლის ასეთმა წესებმა სათანადო ნაყოფიც გამოიღეს. ესაა ქართული „კომუნისტი“ გადმოგვიცემს, რომ სკოლებში გამეფობა ხელიგნობა. მოწაფე მასწავლებელს ემუქრება: „თუ კარგს ნიშანს არ დამიჭერ გავისწორდებიო“. სხვა ასეთი მაგალითი მრავალია: „სკოლებში დისციპლინის უხეშ დარ

ღვევას. უხეშობას. და ხელიგანურ მოქმედებას აქვს ადგილი“ („კომუნისტი“ № 36).

მერე, ვინ დაამყარა ასეთი მდგომარეობა, ვინ შეუწყო ხელი ასეთ გამბრუნებლ რამებების დანერგვას და გახტკიცებას?

კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ხელიგანურმა მეთოდებმა.

უკანასკნელათ ავალებენ მასწავლებლებს, ინდივიდუალურად შეესწავლათ თვითული მოწაფის პიროვნება, ფსიქოლოგია, გავრჩათ მათ შორის განსხვავება, თვისებები, მიდრეკილება. მაგრამ აქვე მეორე უბედურება ამჟარავდება, კიდევ უფრო სერიოზული და დაუქლეველი. დღევანდელი მასწავლებლობის კადრი სრულიად მოუზადებელია ძველი მეთოდების აღმოსაფხვრელად. რადგან აღმზრდელი უწინარეს ყოვლისა თვითონ უნდა იყვეს აღზრდილი, მაგრამ სამუწუხართ მრავალ სკოლაში სრულიად საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ამბობს „კომუნისტი“ (38). აქვე მოყვანილია მაგალითები. როცა მასწავლებელი სცემს ბავშვებს, სკოლაში მთვრალი მოდის და სხ. აქ გასაკვირი არაფერია. კომპარტიამ ნელ-ნელა გარკვა, თუ გაუღიტა ძველი მასწავლებლობა. ახალი მასწავლებლობის 80 პროცენტი კი კომკავშირის წევრებია. საქართველოს კომკავშირის ყროლობაზე ამას წინეთ გამოიკვება, რომ „კომკავშირის ორგანოებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ლოთობისა და ხულიგანობის, ყოფაცხოვრებითი გაზრწილებებისა და გადაგვარების საქმეს“ („კომუნისტი“ № 31).

ქართულ სკოლებში დღეს მეტად მიიმე მდგომარეობა არსებობს. თიქოს სანუეგო აღარადფერი დაგვრწინია. გვიცვლება გული იმის მოგონებაზე. გათვალისწინებანზე, თუ ვის ხელშია ქართველი ბავშვის ნორჩი სული. კომპარტია არა თუ ხელს იღებს, მოლოტოვის მოხსენების დიდი ნაწილი (კომპარტიის მე-18 ყროლობაზე) ცდილობს დაარწმუნოს ხელმძღვანელი ორგანიზაციები ხელი ჩასწავლიან მოწაფეთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

კომუნისტურ დოქტრინაზე აღზრდისა და ახლად წამოყენებულ ინოვიტუალურ პუმანიურ მეთოდთა შორის სრული წინააღმდეგობა და მათი შეთანხმება შეუძლებელია. საბუთო ხელისუფლება უარს ვერ იტყვის მომავალ თაობის დაპატრონებაზე. სტალინბერტას—ადგილობრივი დამცველები ამ საერთო რკალში არიან მომწყვედულნი. ისინი არა ნაკლებად იბრძვიან ჩვენი ნორჩი თაობის ბოლშევიზმის შხამით მისაწამლავედ.

არ არის გასაკვირალი, რომ ათეულ წლების განმავლობაში ამან საშინელი ჭრილობები მიაყენა ნორჩი თაობის სათუთ სულსა და გულს. მაგრამ დაპყრობილი ვრის გული გაუტეხელია, ქართული სულის სიძლიერეს ვერ შეარყევს და მის სიწმინდეს ვერ წაბილწავს მოსკოვის პოლიტიკის იეზუიტური მეთოდები.

იხარო.



ს ა ზ ო გ ა დ ო მ ბ ა რ ი ვ ი მ ო მ კ რ ა ო ზ ა ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო ზ ი

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

ძველი მკვებრების მგზვეყრა.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეგნატე ინგოროყვა ოზურგეთის სასწავლებლიდან გამოაძვეეს.

ახალ აღებული ბათუმი გაამარეს და საქართო რკინის გზის ლიანდაგის გაყვანას შეუდგენ. თბილისთან მიმოსვლა შესაძლებელი გახდა და ოზურგეთის საშუალო სასწავლებელში ახლათ სწავლა დამთავრებულების მშობლებმა იწყეს ზრუნვა შეილებების თბილისის სემენარიაში გასამგზავრებლად. ყოველგვარ გაუკრებდას იტანდენ, ვალს იღებდენ. ოღონდ შეილები ვეგზარდენ. მღვდელი ან მასწავლებელი იქნებიან, მომავალში ჩვენსათვის გაუკრებულათ ისინი მაინც აღარ იცხობრებენო.

სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსულნი სხვადასხვა დროს თბილისის სემინარიაში შევიდენ: სილიბიტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე, გიგო შარაშიძე, ნოე ჟორდანია, ლავრენტი წულაძე, თეოდ კიკვაძე და მრავალი სხვები.

თბილისის სემინარიაში სხვა მრავალ შეგირდებთან ერთად ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენი ყმაწვილები მოხვდენ «ნაროდნიკების» წრეში ზაქარია ჭიჭინაძის საშუალებით. ამ წრეს ხელმძღვანელობდენ: ანტონ ფურცელაძე, გოლა ჩიტაძე და ივანე ჯაბადარი...

ზაქარია ჭიჭინაძე იყო უსწავლელი კაცი, მზარა თვითგანვითარებული. ბევრის ნაკითხავი, დაუზარებელი მუშაკი და ყოველგვარი, ძველი ისტორიული, მასალების შემკრები, სიგელ-გუჯრების შემგროვებელი, ყველა ამის მბეჭდავი, მისი ხალხში გამრცელებული, მატერიალური საშუალებების სასოგადობაში გამოამახველი, ნიჭიერი ახალგაზდობის წამხალისებელი.

მამა დავითის კლდის ძირას ზაქარიას ქობთან ვიწრო ქუჩის შესახვევში, სადაც ორი კაცი ერთად ვერ გაივლიდა, ერთ ნესტიანი, ნახვრათი ბნელ სარდაფში ცხოვრობდენ მიხა ცხაკაია და ეგნატე ინგოროყვა. მაშინ იქ წყალსადენი არ იყო; მეთულზე აისარო წყალს ჭუჭუვაძის ქუჩიდან ამოიღებდა. კოკით ოთანის კუთხეში დადგამდა, პატარა დოქში გადმოსახმდენ, იმით ერთმანეთს წყალს დაუხსამდენ, პირს დაიბადდენ, დღითი ჩაის დალევდენ, სადმე სარდაფში შეიდ კაპეიკიან კერძით, სამი კაპეიკის პურით ისადილებდენ, საღამოს პირმომტრეულ მუშინ ლამპას აანთებდენ, მიხაილოვ-ლავროვის კითხვას შეუდგებოდენ.

ზაქარია ჭიჭინაძის ახლოს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის შეგირდებმა კვლავად მოიყარეს თავი და ეგზა «დიდი ბუნტის» მომზადებას შეუდგენ. ამ მზადებას მეთაურობდა «ნაროდნიკების» ერთი უნიჭიერესი წევრი ანტონ ფურცელაძე.

სემენარიის წრეები დღიან-ღამიან მაცადინებოდენ...

კარგად მომზადებულ სემენარიელების შეწყეო-

ბით «ნაროდნიკებმა» მოინდომეს სომხის სემენარი-
აში წრეების დაარსება, მათთან კავშირის გაბმა. ეს
გაიგო სომხის სამღვდელთაგანმა, დროშაისტ-დაშნა-
კელეზმა და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ჩვენ
ოსმალეთს ვეჩხებებით, თორემ რუსეთის ხელმწი-
ფის საწინააღმდეგო რა გვაქვს, ხელმწიფის საშუა-
ლებით შეიძლება ჩვენი ძმები ოსმალეთის მტრულად
მიბედნიანთაო! სომხის სემენარია, მოსწავლე ახალ-
გაზდობა დიდხანს იყო მათი სამღვდელთაგანის და
დროშაისტების პარტიის ჯავლების ქვეშ.

«ნაროდნიკების» გავლენით მომხდარი ამბები.

ძლიერი გამოსვლები მოხდა სამეგრელოში. გუ-
რიაში ეგნატე ინგოროყვას წაქეზებით. გორის სოფ-
ლებში ერთ საუბარში გლეხებს მეფის ჩამოგდებაზე
ჩამოუტყდა საუბარი. მეფე რომ ჩამოავლენ, მაშინ
ბატონყმობა ისევე ადგება, თვადები ორ წელ ტყავს
გავჯავრებენო—იყო გლეხების პასუხი. ამ მხრივ
ჯერ კიდევ დიდი მუშაობა და დიდი დრო იყო სა-
ჭირო.

დიდი ამბობება და მღვდლგერება იყო სამხედრო
ბეგრებისა და მმეცური მოპყრობის გამო კახეთსა და
მთაში, ამიტომ მთავრობის საწინააღმდეგო ჯგუფე-
ბის, ანუ პიროვნებების მოქმედება მეტად საპასუ-
ხისგებო იყო. სასოგადობა ჯერ კიდევ არ იყო ჩა-
მწყალბებული, რომ რაიმე გარკვეული მოქმედ-
ების წარმოება შესაძლებელი ყოფილიყო. გლეხთან
მისვლა სამოქმედოთი თითქმის შეუძლებელი იყო,
მას მთავრობა ერთნულ მოქმედობათ სთვლიდა. სი-
სხლეში ახსობდა.

სასწავლებლებში გამეფებულ წესების ქართული
ენის დევნის, საერთოთ «რევიმის» წინააღმდეგ ბრძო-
ლა სწარმოებდა, ის პოლიტიკურ ხასიათს ღებულთ-
ბდა და სასტიკი ზნებობდა...

თბილისის სემენარიის რექტორი ქართულ ენას
«ძალინს ენათ» ინსენიებს! ამ ნიადაგზე სემენარიის
შეკლისა სილიბიტრო ჯიბლაძემ გალახა სემენ-
არიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცი 1885 წელს. მარ-
ტში. ჯიბლაძე გამასწორებელ რაზმში იქმნა გაგზა
ვნილი...

სემენარიის ხელმძღვანელ პირებსა და შეგირ-
დებს შორის, ეროვნულ დევნისა, სასტიკი რევიმისა
და ცუდი მოპყრობის გამო გახწყინებლია მეტად
გამწვავდა; ერთი შეგირდი ლალიაშვილი. დათხო-
ვილი იქმნა სემენარიიდან.

1886 წელს 24 მაისს, დილის 10 ნახ. საათზე დათ-
ხვინილა შეგირდმა—ოსებ ლალიაშვილმა, მოკვლა
სემენარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცი.

ჩუდეცის დასაფლავების დღეს, საქართველოს
ეგზარქოსმა თავის სიტყვაში სთქვა: «წყველ იყოს
ის მხარე, სადაც შენ მოგკლესო!» ეს «წყველა» თავის
შესანიშნავ «წერილში», ცნობილმა მამულიწვილმა
და საქართველოს აჯანყების მომანიშნებელი
ყიფიანმა თავზედ ეგზარქოს პროტესტით უკან დაუ-
ბრუნა, რისთვისაც დიმიტრი ყიფიანი მთავრობამ
რუსეთში გადააყვანა, ხოლო ამავე დროს უტაქტო
მოქმედებისათვის ექსპროსი საქართველოდან გადა-
იყვანეს.

1887 წელს ოქტომბერში მთავრობის მოყიდულ-მა აჯენტებმა მსოფიანი მოხუცი დიმიტრი ყიფიანი ქურდულთა მოკლეს სტავროპოლში. მძინარეს გირით თავი გაუტუნეს

დიმიტრი ყიფიანის თბილისში მღვწევნება.

დიმიტრი ყიფიანის მოკვლით დამწუხრებულნი ვერი შეძრწუნდა. ტანჯულის ცხედარი თბილისში მოასვენეს. 1887 წელს ოქტომბრის პირველ დღეებში თბილისი საომრათ გამახადებულ ქალაქს წაღმარად-გენდა. საქართველოს ყოველ კუთხიდან დაღვრატე-ბი და წარმომადგენლები მოდოდნენ, წარბ-შეკუ-ხნულნი დიდებულ მამულიშვილის წინაშე ფიცს სდებენ, რომ ამ სირცხვილს და შეურაცხყოფას მტერს არ შეარჩენდენ.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა შავთ მო. ცილი რაზოდენიშე თათი ქალი და კაცი, ქულ-ჩაქე-ცილინი, ხმალ-კაპარუიტი შემოსილნი: მთელი ქართ-ველი ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, ჩვენი ერის ბურჯი—ახლათ გამოდვიდებული მშრომელი ხალხი, თავიანთ ამქრული დროშებით, სამღვდელოებას და მგალობელთა გუნდს მიყვებოდნენ. ამ გლოვაში, ხა-ლის მწუხარე გამოხედვაში, ერის რისხვა და შეგნე-ბა იხატებოდა.

დამწუხრებულნი ვერი ღირსეულ მამულიშვილს მთაწმიდაში მისვენებდა. პროცესია შავი დროშე-ბით რუსთაველის გამზირის ასავლ აღმართს შეუ-დგა, რომ კავკასიის მთავარმართებელმა წინ თავისი მოხელე რამდენიმე ოფიცერ ყაზახ-რუსებით შემოა-გება, სასახლის წინ ცხედარის გასვენება აკრძალუ-ლია!

აქ მოთმინების ფილაა აივსო. დაგუბებულ მა ბო-ღამ ამოხეთქა.

როგორ?! ჩვენს ოჯახში, მათ მიერ ღალატით მოკლულის დასაფლავებასაც გვიწლიან?! მაშ, ჩვენ კაცები არ ვყოფილვართ! ამ სირცხვილს არ შევ-ცამთ. არაო—გაიძახა ხალხმა; იღვჯა პაერის ხმლებ-მა, სამღვლოვარო პროცესია წამით ბრძოლის ვე-ლათ იქცა: «გზა რუსებო, თორემ დაგზოკეთო» და მთელი ზღვა ხალხი განრისხებული მიესია მის წინ გადგომილ სამხედრო რაზმს.

გაათრებულნი აღექსანდრე ფეისკოპოსი ქრის ტეს ჯვრით ემუქრებოდა ოფიცერს: «გზა, შე შეჩე-ნებულს, როგორ ბედავ შემოსილ სამღვდელო კრე-ბულს მიცვალებულის გასვენებას გვიწლიაო!... მთავარდიკანი საეცხურადან ნაკვერცხლებს ცხვირპირში აყრიდა მთავარმართებლის ადიუ-ტანტს. დიმიტრი ყიფიანის შვილები, პირისუფლე-ბი, კოტე ყიფიანის მეთაურობით მჯიღებით მიიწე-ვდენ... მანდილანები ფრჩხილებით ჩინ-ორდენებს ავლევდენ რუს-ოფიცერებს. ქულ ჩაქეცილი თავდა-ზნაურის სისტყით სცემდენ ხმალს თავზედ რუსებს, გაელვარებული თვალებით მიიწევიან, უყვიროდენ: «გზა თორემ ორათ გაკვეთ. მამიჩინის ცხონებაოა... თბილისის ყარაოღლები და კინტელები ერთი შე-მოკვრით ორ პოლიციელს ერთად აგდებდენ მიწა-ზე... ამთში ყველაზე წინ მოჩანდა ქულ-ჩაქეცილი ქართლელი თავადიშვილი—სიკო დიასამიძე, რომე-

ლიც ამოდებული ხმალით ადიუტანტზე მიიწედა... ახლავებულმა ხალხმა როგორც ნაფორი ისე გაიგდო წინ თავზედი რუსის მხედრობა. სასახლის წინ ცხედარი დასვენეს და პანაშენის გადახადეს. შემდეგ მამადავითზე აასვენეს. აქ შესაფერი სიტყვე-ბი უთხრეს და უკვდავების ძეგლი აუგეს ღირსეულ მამულიშვილს...

შეწინებულმა მთავარმართებელმა მეორე დღეს დაატყვევა პირისუფლები, რაც შემდეგ ოცდა ხუთი მანეთის ჯარიმით შეუცვალა.

ეს დიდებულნი პროცესია, რომელიც მთავრობამ მისი უტაქრობით თავის საწინააღმდეგო დემონსტ-რაციათ გადააქცია, არის პირველი თარიღი, პირვე-ლი აშკარათ გამოხვლა რუსეთის წინააღმდეგ ახალ პირობებში და ახლათ გამოღვიძებულ ქართველ ერში.

ახალი ცხოვრება, ახალ ბრძოლის საშუალებას თხოვლობს. ახალ ტაქტიკას და მეთოდს. ამ დღეს გამოაშკარავდა, რომ ქართველი ხალხი კვლავ ცო-ცხლობს, დიად მომავლისათვის ემზადება.

დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებამ მთელი საქა-რთველი გაბუნებულ ახალ ასპარეზზე გამოიყვანა და... სასახლოდაც.

თბილისის სემინარიის შევირძეების გაყვიცა.

დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებამ ქართველი საზოგადოება ღრმა ძილისაგან გამოაღვიძა, სემენა-რიის შევირძეებასაც დროა შესახა, ადრეთიყვანა.

1889 წელს მოხდა სემენარიის შევირძეების საერ-თო გაფიცვა დიპლო სტიქიურათ. უფროის საქმე-ლის გამო. შიგ ჩაერია შევირძეების პოლიტიკური საიდუმლო «წრები» და ადგიცავს მისცეს პოლი-ტიკური ხასიათი. მას გარედან ხელმძღვანელობდა ანტონ ფურცელავე ზაქარია ჭიქინაძის საშუალებით. შევირძეების საერთო მოთხოვნილებანი და წერილო-ბით გადასცეს რექტორს. მოთხოვნილება იყო შემ-დგე:

- 1) ცენზურის ქვეშ გამოსული წიგნების თავისუ-ფლად კითხვა.
- 2) შემოღება სემენარიაში ქართული ენის, ლი-ტერატურის და საქართველოს ისტორიის სწავლის.
- 3) გაუმჯობესება საქმელის.
- 4) გაფიცვისათვის დაუსჯელობა.

გაფიცვა გავრძელდა ერთი კვირა. ბოლოს საქ-მეში ჩაერია ეგზარხოსის მოადგილე აღექსანდრე ფეისკოპოსი—ოქრპირიძე, რომელიც მივიდა სემი-ნარიაში, შეკრიბა შევირძეები და გამოუცხადა: სწე-ვლა დაიწყეთ და თქვენს მოთხოვნილებას ჩვენ შე-ვასრულებთ, მხოლოდ ქართული ისტორიის და ლი-ტერატურის ნებართვა უნდა გამოვითხოვოთ სინო-დიდანო. ამის შემდეგ გაფიცვა შეწყდა. არავინ ამ საქმეზე არ დასჯილა. აღექსანდრეს მამობრივმა და-რიგებამ და მისმა ქართულმა სიბრძნემ სძლია რუ-სეთის მზაკვრულ პოლიტიკას.

ამ საქმეს მეთაურობდენ მესხეთე კლასის შევირ-დები: ნოე ქორდანია, ფილიპე მანარაძე და თედორე კიკვაძე, რომელთაც ამის გამო მისცეს «ატესტაცია» —ოთხ-ოთხი ყოფა-ტყვევაში, რაც ნიშნავდა არც ერთ



უმალეს სასწავლებელში არ მიღებას. ამ დროს სემნარიის რექტორათ იყო არხიმანდრიტი ნიკოლაი (რუსი), კაცი ფრიად განათლებული, რომლის პროტექციით ნოე ქორდანია და ფილიპე მახარაძე იქნა მიღებული ვარშავის საბეთალო ინსტიტუტში.

ერთი წლის შემდეგ სემნარიისში მართლაც შემოიღეს სიბოძის ნებართვით ქართული ენისა და ისტორიის სწავლება. შემდეგ წლებში ახალმა რექტორმა ეს საგნები გააუქმა, რასაც მოყვა სემნარიის შევივრდების ახალი გაფიცვა.

კულტურული მუშაობა.

1875 წელს გაიხსნა თავდაზნაურობის ბანკი, რომელშიც შემდეგ გახსნა სათავად-აზნაურო გიმნაზია, სადაც ქართულ ენას ასწავლიდნენ, სადაც თავი მოიყარა გულწრფელმა მამულიშვილებმა მასწავლებლათა და რამდენიმე დღეაწინ დასდაუდებელი ქართული ერისათვის. როცა სემნარიისში ქართულ ენას «ძალის ენას» ეძახდნენ, ეს თავდადებული მასწავლებლები ქართული ენის სწავლებას ახერხებდნენ. სამშობლოს სიყვარული გადაგვარებულ ნორჩ ახალგაზრდას გულში უწერავდნენ.

ბანკის მოქმედება, მისი დაზნაობა ახლათ ფეხამდგარ ქართულ საზოგადოებისადმი. მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დაზნაობა, სტიპენდიები, სკოლების გახსნა თბილისში, ქუთაისში, სენაკში, კვკავში და საკუთარი შენობის აგება იჯექა. რომელიც შემდეგ ქართულ უნივერსიტეტთა იქცა. მართლაც დიდი ეროვნული საქმე იყო.

1879 წელს გაიხსნა წერა-კითხვის საზოგადოება. რამაც დაბადა იმედი, ხალხში ჩვენი მწერლების ნაწერების დაბეჭდვისა და მისი ხალხში ვავრცელებინსა. ამ მამულიშვილებმა ეროვნულ კერასე მიბეჭეტული ლამპარი აანთეს.

ამოძრავდა ეროვნული ყოველი დარგი დაარსდა საზოგადოებანი არქეოლოგიური, ეტნოგრაფიული, ზეპირსიტყვითა შემგროვებელი ჯგუფი, საეკლესიო საგალობელთა შემკრები წიგნი, ქართველ მომღერალთა გუნდი—ლადო აღნიასვილი მეთაურობით და უთავო რატლის ლოტარობით. აღნიასვილმა შემდეგ იმგავა საპარსეთში და შახ აბაზის მიერ გატაცებული ქართველების ყოფა ცხოვრება დაწერილობით ასწერა, დაბეჭდა და ამ ბნელით მოცულ ისტორიულ სამწუხარო ამბავს ნათელი მოჰფინა. დაქარგული ძმების გზა იპოვა, მომავალი პერსპექტივები ასახა. შეიქნა მრავალი კულტურული და სააღმშენებლო ამხანაგობები, წიგნის გამოცემლობის კავშირები; დაარსდა ჩვენი ღვიძლი ძმები სათვის—აურალებისათვის სკოლები. ერთი ამოძრავდა, ახალ ცხოვრებას ალღო აუღო, ყველა ნაკადებმა ერთ მდინარისკენ იწყო დენა, ერთი ახრით და ხრახვით ჯერ გაუბუბდავით, მორცხვით, ეროვნულ გრძობებით გაიმსუქალა. სადათა ძილისსაგან გამოერკვა-გამოფხიხლდა.

(გაგრძელება იქნება)

ვლახა შველაძე.

კომუნისტური მიღწევები

მკითხველს უთუოდ გაგონილი ექნება ერთი ახირებული მსახურის განსაცვიფრებელი სიმშველენი მსახურზე მოგახსენება. რომელიც შორიდან შინ მომავალ ბატონს გზაში მიეგება და უკანასკნელის შეკითხვაზე.—რა ამბავით მხედები, როგორ არიან სახლიო.—უპასუხა: «მშვიდობაა, ბატონო» და იმავე წუთში დაუმატა: «შოლოდ ჩვენი ნიკორა ძროხა დაგველუა».

— რა დაემართა, ბიჭო, ძროხას?
— საძროხეს ცეცხლი მოედო, ბატონო, და შიგ გამოიწვა.

— შერე საძროხეს როგორ მოელო ცეცხლი?
— თუდიან გადავიდა, ვერ ვიპატიეთ.

— თდას რამ გაუჩინა ცეცხლი?
— საცოდავი დედა თქვენი რომ გადაიცივალა,

ღამით ანთებული წმინდა სანთელი დავეტოვეთ ოთახში და ლაპარაკობენ, რომ ალბად იმ სანთლიდან გაჩნდა ცეცხლიო.

— რას ჩურჩუტობ, ბიჭო,—შესძახა თავისდაცემულმა ბატონმა.—განა დედაჩემიც გადაიცივალა?

— კი ბატონო, გადაიცივალა და ის საცოდავი დასადღავევასაც არ ეღიროს, ცეცხლში გამოიწვა.
— შე უტყვიო, შენა, სად არის შენი მშვიდობა?!
კაცი დავლუაღვარ, გავანდგურებულ ვარ... არც საყვარელი დედა, არც სახლკარი.—შენ კი მშვიდობა ბატონო,—მეუბნები.

ეს ახირებული მსახური მოგაგონდება, როდესაც წაიკითხავ საქართველოს კომუნისტურ მთავრობის თავმჯდომარის— ბაქოაძის სიტყვას. რომელიც მან წარმოსთქვა საეკ. კომპარტიის მეფრამეტე ყრილობის წინაშე.

მან დიდი ყებით «დიდი სტალინისადმი» მისაღობით, ლიდი ქებით მოიხსენია ბერიაცი და ყრილობას აუწყა, რომ საქართველოში ყველაფერი წესრიგზეა, ყველა ფრონტებზე უდიდესი მიღწევებია:

«ამხანაგ სტალინის გენიული წინამძღოლობით ჩვენ გავანადგურეთ ხალხის მტერი, ჯაშუშები და მავნებლები და ძირითადად განვხარციველეთ კომუნისმის პირველი ფაზა—სოციალიზმი. დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენ წარმატებით დავამთავრებთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.»

მაგრამ ყველაფერი მაინც ვერ არის წესრიგზე, მიღწევებიც კი დიდად საეჭვო ყოფილა. მოუსწინებოთ თითონ ბაქოაძეს.

«სურტრამკიული მეურნეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა და მთავრებას, რომელზეც თავის მოხსენებაში ლაპარაკობდა ამხანაგი მოლოტოვი. კოლხიდის მიწების ამოშრობა ნებას მოგვცემს გადავაქციოთ ეს დაბლობი ციტრუსებისა და ჩანის პლანტაციებითა და ევკალიპტოს ხეებით მთლიანად დაკავშირდო რაიონად. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სსრ კავშირის მიწ. სახკომი აუიანურებს კოლხიდის დაბლობის პირველი რიგის ამოშრობის პროექტის დამტკიცებას.



მუშაობა კი დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს.» არც ელექტროენერგიის მიღების საქმე ყოფილა სანუგეშო მდგომარეობაში. ეს კის დარგია, რომლის უპირატესად განვითარებზე კომუნისტები ყოველ გზა-ჯგაფრდინზე გააკვირდნ და ქვეყანას არწმუნებდნ, რომ ევროპა-ამერიკას წაუჩინდ და გადაუსწრეს კიდევ. სინამდვილეში კი რა ყოფილა? აქაც ბაქრაძის მოუშინოთ.

«საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოადგენს ელექტროენერჯის მწვევე დეფიციტი. თავისი ენერჯეტიკული რესურსებით საქართველო ერთერთი ყველაზე მდიდარი რაიონია საბჭოთა კავშირში. უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები იაფი ელექტროენერჯის მისაღებად არასაკმარისად არის გამოყენებული. უკანასკნელ ხანებში ელექტროენერჯის ნაკლებობა მეტად მწვევე ხასიათი მიიღო. ელექტროენერჯის დეფიციტის შედეგად თვითონი გაჩერებულია ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორცაა ფეროსენადნობა ქარხანა და ამიერკავკასიის თითქმის მთელი ელექტროდეციტებული გამწვევი ძალა. ქალაქი თბილისი ნახევარმილიონიანი მისახლეობით ორი მესამედით არ არის განათებული. თბილისის საწარმოთა უდიდესი რაოდენობა მუშაობს ნორმალურად არა უმეტეს 6-7 თვისა წელიწადში. ელექტროენერჯის ნაკლებობა აფერხებს მრეწველობის ზრდას და უდიდეს ზარალს აყენებს სახელმწიფოს. ელექტროენერჯის ნაკლებობის შედეგად 1938 წელს, მიწინააღმდეგარეობის პირობებში, ფეროსენადნობა ქარხანამ, ამიერკავკასიის რკინიგზამ და თბილისის საწარმოებმა იხარაღეს 40 მილიონ მანეთზე მეტი. მესამე ხუთწლიურის წლებში ელექტროენერჯის დეფიციტი გაიზარდა და 1942 წელს მიადწევს 392 მილიონ კილოვატ-საათს ელექტროენერჯის დეფიციტის შემსუბუქებისა და მრეწველობისათვის ცოტა თუ ვერაღ ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, ჩვენ საჭიროდ ვთვლით, გარდა მშენებლობის პროცესში მყოფ ხრამისა და სოხუმის ჰიდროელსადგურების დამთავრებისა, დაიდგას მეორე აგრეგატი ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელსადგურზე, დამთავრდეს თბილისის თბოელექტროსადგურის მშენებლობა სრულ სიმძლავრემდე. აგრეთვე მესამე ხუთწლიურ გეგმაში გათვალისწინებულ იქნას დიდმის 40-60 ათასი კილოვატის სიმძლავრის ახალი ჰიდროელსადგურის მშენებლობა მდინარე მტკვარზე.

უნდა ვთქვა, რომ აღნიშნული ელექტროსადგურების მშენებლობის განხორციელების პირობებშიც კი, რასაც ჩვენ აუცილებლად საჭიროდ ვთვლით, საქართველოს სსრ მეურნეობის ელექტროენერჯით უზრუნველყოფის საქონელი კვლავ საბოლოოდ გადაუსწვეტელი რჩება და მეოთხე ხუთწლიურ დასაწყისისათვის ჩვენ გვექნება მნიშვნელოვანი დეფიციტი.

რაც შეეხება იმ ელექტროსადგურებს, რომლებიც აქამაღ შენდები, უნდა ვთქვა, რომ ისეთი დიდი ჰიდროსადგურის მშენებლობა, როგორცაა ხრამპისი, რომლის სიმძლავრეა 90.000 კილოვატი

და რომელსაც შეეძლებოდა უზრუნველყო ჩვენი მდგომარეობა, უკანაურდება არასაკმაო ყურადღების შედეგად. ეს სადგური უკვე 7 წელია შენდება და ამ 7 წლის განმავლობაში საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან—126 მილიონი მანეთიდან მეორე ხუთწლიურის ბოლოსთვის ათვისებულნი იყო მხოლოდ 52 მილიონი მანეთი, ხოლო 1939 წლისათვის გადადებულია მხოლოდ 16 მილიონი მანეთი. თუ მშენებლობა კვლავც ამგვარად წავა, ეს სადგური შეიძლება აშენდეს მხოლოდ 1945-1946 წლებში. ამიტომ საჭიროა, რომ ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატმა ამ საქმეს უფრო სერიოზული ყურადღება მიაქციოს და უზრუნველყოფს ეს დამთავრება არა უგვიანეს 1941 წლისა. საჭიროა ამ სადგურისათვის ასიგნონის მნიშვნელოვანი გადღობა, მასალით, განსაკუთრებით ტრანსპორტით მისი მომარაგების უზრუნველყოფა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ მშენებლობა სრული ტემპით.

ასეთსავე მდგომარეობაშია სოხუმის ჰიდროელსადგურის მშენებლობა.»

კიდევ უარეს მდგომარეობაში ყოფილა რკინის გზათა მშენებლობის საქმე:

«რკინიგზების მშენებლობაში, გარდა შავი ზღვის რკინიგზის დამთავრებისა სოხუმიდან ადღერამდე და რკინიგზისა გორიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრამდე—ქალაქ სტალინირამდე, საჭიროა მესამე ხუთწლიურის გეგმაში გათვალისწინებული იქნას ტყინობის რკინიგზის შტოს რკინსტრუქცია და ჰიათურის შტოს გადაკეთება ფართო ლიანდაგისადა.

რაც შეეხება შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის მიმდინარეობას, უნდა ვთქვა შემდეგი: ამ გზამ, რომლის სიგრძეა 353 კილომეტრი, უნდა შეაერთოს საქართველო და ამიერკავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის ცენტრთან მეორე მაგისტრალით სოკუხე. არსებულ გზას ეს შეამცირებს 800 კილომეტრით. შენდება იგი 10 წელზე მეტია, ამასთან აშენებულია ნახევარზე ნაკლები. მშენებლობის ტემპები ასეთია: მშენებლობის დამთავრებამდე უნდა დიხარჯოს 250 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო მიმდინარე წელს ასიგნებულია მხოლოდ 10 მილიონი მანეთი. თუ საქმე ასე გაგრძელდა—მშენებლობა გაგრძელდება, სულ ცოტა, ოც წელს მაინც.»

როგორც დაინახეთ სუბტროპიკულ მეურნეობის განვითარებას წინ ელმობა და საბოტაჟს უწევს სახეობი; ელექტრონის ენერჯის მიღების საქმე ისე ცუდათ ყოფილა, თბილისიც კი ნახევრად გაუნათებელი ყოფილა; ელექტრონის ენერჯის უქონლობის გამო თბილისის საწარმოთა უდიდესი რაოდენობა მუშაობს ნორმალურად არა უმეტეს 6-7 თვისა წელიწადში; რკინის გზების მშენებლობა კუს ნაბიჯითაც კი ვერ მიდის წინ და სხვა. ასეთ ქვეყანაში სოციალიზმი თურმე განხორციელებული და მალე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობადაც წარმატებით დამთავრდება.

მაშალი სოფელს გააშენებს!..



ბ ე ლ გ ი ის ა რ ჩ ე ნ ე ბ ი ს

ბელგიის საპარლამენტო არჩევნები მოხდა მეტად რთულ და საინტერესო პირობებში. მთავრობამ, რომლის თავმჯდომარე იყო სოციალისტი სპაკი, მედიკურ აკადემიის წევრად დანიშნა ვილჰელმ ექიმში მარტენსი. ეს უკანასკნელი დიდი ომის დროს გერმანოფილურ მოქმედებისათვის მოლაღატეთ იქნა გამოცხადებული და მას სიკვდილით დასჯა მიეცა. შემდეგ ამნისტიის ძალით ეს სასჯელი მას მოხსნეს და ის განათავსდებოდა ჯიქაში.

სპაკის მთავრობამ არ გაუწია ანგარიში ამ ექიმის წარსულს და მისი მეცნიერული შრომებისთვის აკადემიკოსად გახადა. ამან გამოიწვია ლიბერალური პარტიის დიდი უკმაყოფილება და მისი წარმომადგენლების მთავრობიდან გასვლა. ამას მოყვა მთავრობის კრიზისი, რომელიც რამოდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და, მიუხედავად დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის სირთულით, კოალიციაში მყოფ სამ მთავარ პარტიას—სოციალისტებს, კათოლიკებს და ლიბერალებს შორის შეთანხმება და მორიგება არ მოხერხდა.

მეორე მხრე მთავრობის თავმჯდომარე სპაკი გაუჯიშებდა და არ მიიღო ზომები, რომ მის მიერ დანიშნული აკადემიკოსი აკადემიიდან გასულიყო და მით ამტყდარი აყალბავალი დამცხრალიყო.

სპაკი ფიქრობდა, და ის ამაში სასტიკად მოსტყუვდა. რამე ამომჩრეველებს აინტერესებდა მხოლოდ მათი მომხარებლობის მიუხედავად და ამაზე ზრუნვდა. ლიბერალების მიერ სადემოკრატიო წამოყენებული ექიმ მარტენის წარსული ცხოვრების მორალური მომენტი კი ამჩრეველებზე ვერავითარ საგრძნობ გავლენას ვერ მოახდენდა.

არჩევნებს ადგილი ჰქონდა (2 აპრილს) ისეთ ხანაში, როცა გამეფებულია საყოველთაო შიში და ერთ ერს და მის დამოუკიდებელ ცხოვრებას მეორე ერთ ემუქრება. დიდ უშიშს განიცდის დღეს პატარა ბელგიაც, რომელიც უძლიერეს სახელმწიფოს გვერდით იმყოფება და მისი აგრესიული მოქმედებისაგან არაფრით დახლევული არ არის. არ არის გასაკვირი თუ ბელგიელების პატრიოტული გრძობა ძალზე წაწყვეტილია და ამ მხრივ ეხლა უბრალო რამეებსაც კი დიდი ყურადღება ექცევა.

ლიბერალებმა ისარგებლეს ექიმ მარტენსის შეთხვევით და მისი მოლაღატური და ანტიპატრიოტული საქციელი წარსულში სოციალისტების წინააღმდეგ მთავარ საავტოციო საფუძვლად გამოიყენა. მართალია, მარტენსის დანიშნვაში მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ სოციალისტი მინისტრები, არამედ მთავრობის წევრნი კათოლიკებიც, მაგრამ დამნაშავეთ მანც სპაკი და მისი მეგობრები დასახეს და მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გაჩაღეს.

მიუხედავად იმისა, რომ მარტენსის წარსულს სოციალისტური პარტია გმობდა, მის აკადემიის წევრად დანიშვნას მიზანშეწონილად არ სთვლიდა და მთავრობის მოქმედებას შეცდომად სთვლიდა. ეს შემთხვევა ლიბერალების მიერ მოხერხებულად იქნა გამოყენებული და მათმა დემოკრატიამ ნაყოფი გამოიღო.

ლიბერალებმა მოიგეს 10 ადგილი და დღეს მათ პარლამენტში 25 ს მაგიერ 35 დეპუტატი ყავთ. სოციალისტებმა დაჰკარგეს 6 ადგილი და ისინი რიცხვობრივად (64 დეპუტატი) მეორე პარტია გახდნენ. კათოლიკები დაუბრუნდნენ მათ ტრადიციულ მდგომარეობას. ისინი ეხლა ბელგიაში პირველ პარტიას წარმოადგენენ (73 დეპუტატი).

სოციალისტების მიერ ადგილების დაკარგვას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე მათ წინააღმდეგ კომუნისტების ყოვლად უსინიდისო და ცინიკურ ბრძოლამ. ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას და ზომებს მუშათა შეთხვევებში სოციალისტების სახელის გასატყუარად და იქ მათი პრესტიჟის დასაცემად. ეს მატყუარა ხალხი, რომელიც ხშირად ასე ურცხვად საერთო ფრონტზე და მუშათა კლასის მთლიანობაზე ასე ბევრს ლაყბობს, ყველაფერს შეზღობდა, რომ ეს მთლიანობა და ერთსულ ოჯანება დაერღვია. მათ ეს რამოდენიმედ მიაღწიეს. მაგრამ თვითონ კი არაფერი მოუგიათ. მათ შერჩა მათი ძველი 9 ადგილი. კომუნისტებმა მხოლოდ ლიბერალურ შეუწყვეს ხელი მათი რიგების გასაღლიერებლად.

მაგრამ ყველაზე უფრო დაზარალებული ამ არჩევნებშია გამოვიდნენ ბელგის ფაშისტები. რომელთაც ლოან დევრელი შეთხვევით. მათ 21 დან 17 ადგილი დაკარგეს და ამით მათი პარლამენტარული წარმომადგენლობა არარაობათ იქცა.

ბელგიელ რესისტების წინააღმდეგ ყველა პარტიები აყენებდნენ ბრალდებას, რომ ისინი უცხო ძალას ეყრდნობიან. მათ უცხოეთი კვებავს და მთელი მათი მუშაობა ობიექტიურად ბელგიის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

უდავოა, ბელგიის უკანასკნელ არჩევნებში ეროვნული მომენტი თამაშობდა უდიდეს როლს და ამ მომენტის ირვკლივ სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა სხვადასხვა პარტიათა შორის.

ბელგიის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო არჩევნების შემდეგ სწვრდა. რომ პარტიამ დაჰკარგა ხმები არა მარტენსზე, მოიგეს არა კომუნისტებმა, არამედ სოციალისტების რიგებიდან ბევრმა ხმები მისცეს ლიბერალებს, რომელნიც პატრიოტიზმის სამოქალაქო იყენებ გახვეულნი; ამით მუშებმა ეროვნული საკითხი დააყენეს მათი კლასობრივი ინტერესების წინ და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

